

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ბლოკური მოდელი

ნაწილი 1	კოდექსის, ძირითადი პრინციპებისა და კონცეპტუალური მიდგომის დაცვა	(ყველა პროფესიონალი ბუღალტერი) განყოფილებები 100 - 199
ნაწილი 2	ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები (მე-2 ნაწილი ასევე ვრცელდება საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ ინდივიდუალურ პროფესიონალ ბუღალტრებზე)	განყოფილებები 200- 299
ნაწილი 3	საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები	განყოფილებები 300 - 399
ნაწილი 4ა	დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის მიმოხილვისთვის	განყოფილებები 400- 899
ნაწილი 4ბ	დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის გარდა სხვა მარწმუნებელი გარიგებებისთვის	განყოფილებები 900- 999
ტერმინების გლოსარი (ყველა პროფესიონალი ბუღალტერი)		

პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებში) („კოდექსი“) ჩამოყალიბებულია ეთიკის ძირითადი პრინციპები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, რომლებიც ასახავს პროფესიის მხრიდან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის პასუხისმგებლობის აღიარებას. ეს პრინციპები ვრცელდება ყველა პროფესიონალ ბუღალტერზე მათი ფუნქციების და პასუხისმგებლობის მიუხედავად. ეს პრინციპები, ეთიკის კოდექსის კონცეპტუალურ მიდგომასთან ერთად, ქმნის ეთიკური გადაწყვეტილების მიღების მყარ საფუძველს.

ბლოკური მიდგომა წარმოაჩენს კოდექსის ურთიერთდაკავშირებულ სტრუქტურას

კოდექსის სტრუქტურა

კოდექსის დებულებები ურთიერთდაკავშირებულია კონსტრუქციით - „ბლოკური მოდელის“ მიდგომის გამოყენებით და სარედაქციო ხასიათის კონვენციების მეშვეობით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს გამეორება. **1-ლი ნაწილში** აღწერილი კონცეპტუალური მიდგომა ერთნაირად ვრცელდება ყველაზე პროფესიულ საქმიანობაზე, ამიტომ ეს შინაარსი არ მეორდება **მე-2, მე-3 და მე-4** ნაწილებში. ამის ნაცვლად, კოდექსის დანარჩენი ნაწილი აგებულია 1-ელ ნაწილში განხილულ მასალაზე. ეს მიდგომა გვიჩვენებს კოდექსის დებულებების გრადიენტს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 1-ელ ნაწილში მოცემულ ყოვლის-მომცველ პრინციპებზე დაფუძნებულ დებულებებს, რომლებიც ეხება ყველა პროფესიონალ ბუღალტერს ნებისმიერ გარემოებაში.

კოდექსის მომდევნო ნაწილები შეიცავს კონტექსტისთვის შესაფერის ინფორმაციას, რომელიც ისეთ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს შეეხება, რომლებსაც **საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები** და **ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები** აწყდებიან პრაქტიკაში. კოდექსის დაცვა მოითხოვს კონკრეტული განყოფილების შესაფერის დებულებების გააზრებას 1-ლი ნაწილის კონტექსტში, **მე-200, მე-300, მე-400 და მე-900** განყოფილებების (ე.ი. ზოგადი განყოფილებები) შესაბამის დებულებებთან ერთად. დასასრულ, კოდექსის ტერმინების გლოსარი მოიცავს ტერმინების განმარტებებსა და აღწერას.

პროფესიონალ ბუღალტრებს არ შეუძლიათ მე-2 ნაწილის უგულვებელყოფა!



გარკვეულ გარემოებებში, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტრებმა მე-3 და მე-4 განყოფილებების გარდა, უნდა დაიცვან მე-2 ნაწილის დებულებებიც. მაგალითად, თუ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი ამჩნევს დამკვეთის საეჭვო ან შეუსაბამო ქმედებებს, მან უნდა დაიცვას მე-3 ნაწილის **360-ე განყოფილების** დებულებები, ხოლო თუ ამგვარ ქმედებებს საკუთარ ფირმაში შენიშნავს, მაშინ უნდა დაიცვას მე-2 ნაწილის **260-ე განყოფილების** დებულებები.

კონცეპტუალური საფუძვლები განსაზღვრავს მიდგომას, რომელიც ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ:

გამოავლინოს საფრთხეები, რომლებიც ემუქრება ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას. (იხ. პუბლიკაციის მე-2 ნაწილი)

შეაფასოს გამოვლენილი საფრთხეები (იხ. მე-3 ნაწილი)

სათანადო რეგირება მოახდინოს საფრთხეებზე, რომლებიც არ არის მისაღები დონის (იხ. მე-4 ნაწილი)

გნახოთ, რამდენად შეესაბამება კოდექსის სტრუქტურული ელემენტები ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტერსა და საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერს:

ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტერთან დაკავშირებული სცენარი

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი აღმასრულებელი დირექტორისგან ზეწოლას განიცდის, რათა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ამონაგების აღიარებისთვის აგრესიული მიდგომა გამოიყენოს, რის შედეგადაც შესაძლოა ფინანსური ანგარიშგება შეცდომაში შემყვანი გახდეს. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი მიმართავს კოდექსის მე-2 ნაწილს და აღმოაჩენს, რომ:

- ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების შესაბამისად და არ უნდა იყოს მიზანმიმართულად მცდარი (იხ. **8220.4**).
- ორგანიზაციაში ან მის გარეთ სხვების მხრიდან ზეწოლამ არ უნდა გამოიწვიოს ეთიკის ძირითადი პრინციპების დარღვევა (იხ. **8270.3**).

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერთან დაკავშირებული სცენარი მარწმუნებელიგარიგების კონტექსტში

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერს შესთავაზეს შესაძლებლობა, დასწრებოდა ერთ-ერთ მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებას აუდიტის ან მიმოხილვის დამკვეთთან ერთად. ბუღალტერი მიმართავს კოდექსის მე-3 და მე-4 ნაწილს და აღმოაჩენს, რომ:

- დამკვეთისგან საჩუქრის მიღება არ შეიძლება, თუ დამკვეთი ცდილობს მათ ქცევაზე მიზანშეუწონელი გავლენის მოხდენას (იხ. **8340.7 პუნქტი**).
- დამკვეთისგან საჩუქრის მიღება არ შეიძლება, თუ მისი ღირებულება ტრივიალური და უმნიშვნელო არ არის (იხ. **8420.3 პუნქტი**).

საერთო ჯამში, კოდექსიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჩუქრის ღირებულება ტრივიალური და უმნიშვნელოა, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა საჩუქრის მიღებამდე უნდა შეაფასოს დამკვეთის განზრახვა.

კოდექსის თითოეული განყოფილების შესავალი ნაწილის პუნქტები პროფესიონალ ბუღალტერებს შეახსენებს, რომ უნდა გამოიყენონ **კონცეპტუალური მიდგომა** ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოსავლენად, შესაფასებლად და მათზე რეაგირებისთვის. ამ პუნქტებში ასევე გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპის საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას და ძირითადი პრინციპები, რომლებზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს ამა თუ იმ საფრთხემ. ამგვარად, კოდექსის სტრუქტურა ყოველთვის ამახვილებს პროფესიონალი ბუღალტრის ყურადღებას იმაზე, რომ უნდა გამოიყენოს კონცეპტუალური მიდგომა, სიტუაციის მიუხედავად.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული და ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრები




საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, ფუნქციების ან კლასიფიკაციის მიუხედავად (მაგ., აუდიტი, საგადასახადო ან საკონსულტაციო მომსახურება) არის ფორმში მომუშავე პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ეწევა პროფესიულ მომსახურებას. ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც არ არის საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული, მიიჩნევა, რომ „დასაქმებულია ბიზნესში“ (ე.ი. ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი) და ვალდებულია დაიცვას კოდექსის 1-ლი და მე-2 ნაწილის დებულებები.

დამოუკიდებლობა და ძირითადი პრინციპები


როგორც **მე-5 ნაწილშია** განხილული, დამოუკიდებლობა არ არის ეთიკის ძირითადი პრინციპი, მაგრამ მასაც იგივე საფრთხე შეიძლება შეექმნას, რაც ძირითად პრინციპების დაცვას. **დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს მოთხოვნებს** და მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალას, რათა აიხსნას, როგორ გამოიყენება კონცეპტუალური მიდგომა აუდიტის, მიმოხილვისა და სხვა მარწმუნებელი გარიგებების შესრულებისას.

სად მივიღებთ დახმარებას?



დამატებითი ინფორმაცია და კოდექსით მოცული თემების მიმოხილვა შესულია პუბლიკაციაში, სახელწოდებით, **ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილები და განყოფილებები**.

www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და კოდექსის სხვა მომხმარებლებისთვის. იგი კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას იძლევა, რაც აადვილებს მის გამოყენებას, პრაქტიკაში დანერგვას და შესრულებას.



ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა – „ბლოკური მოდელი“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა – „ბლოკური მოდელი“ – ინგლისურენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - „ბლოკური მოდელი“ – ქართულენოვანი ვერსია © [2022], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *The Building Blocks Installment*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org